

მეცემსი

1888-1890

«მწვექმა» გამოადის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოცდაათ რაცხვებში.

შინაარსი: ერთი მიზეზთაგანი მოძღვარ-მოწამეთა შორის სამძულვარის ჩამოკლებსა. — ძირითადი უგუდ-მართობა. — მწარე ფიქრები. — როგორ შემოდეს წიგნებსა ბეჭდვა. — საისტორიო მასალა. — გუჯრები. — ახალი ამბები და შენიშვნები. — რეაქციის ზსიუხი.

მართი მიწვევითაჲნი მოძღვარ-მოწამეთა შორის
სიმძულვარის ჩამოკლებსა.

ჩენი სამღვდლოებისათვის მრავალ ჯერ გამოუცხადებია საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტონას, თუ როგორი მოწამებები უნდა მისცეს მღვდელმა თავის მოწამეს, როცა ამ უკანასკნელს სურს ჯვარის წერა. ადგილობრივ ბლაღოჩინებსაც, აღბათ, არა ერთ გზის გამოუცხადებიათ მათდამი რწმუნებული სამღვდლოებისათვის მღვდელ-მოაზრებების მოწერილობანი ამავე საგნის შესახებ. მაგრამ ყველა ამ გამოცხადებას და მიწერილობას ზოგიერთი მღვდლები რიგინად არ ასრულებენ. მოწამე სთხოვს თავის მოძღვარს ისეთი მოწამობის მიცემას, რომ გვირგვინის მაკურხეველმა მღვდელმა არ დააბრკოლოს რგი. მღვდელიც ამძღვრებს სასიძოს და ნათხოვენ მოწამობას აძლევს. სასიძო მიღის სასიძოსთან, საქმეს ათავებს, ამხალბებს ხარჯს და სტუმრებსაც პატივობს დანიშნული დღისათვის. დანიშნულ დროს თავის სასიძოთი და ნათესავებით მიდის ეკკლესიაზედ ჯვარის საწერად. ადგილობრივი ეკკლესიის მღვდელს უდგენს თავის მღვდლისაგან მიცემულ მოწამობას. მღვდელი ართმევს მოწამობას და წაკითხვის შემდეგ უკანვე უბრუნებს მოწამობას მომტანს შემდეგი სიტყვებით: «მე ამ მოწამობით ჯვარის დაწერა არ შემიძ-

ლია. რომელი ცნობაც საქიროა, ის მოწამობაში არა სწერია და ამიტომ არ შემიძლია მე მოწამობის მიღება». სასიძოს არ ხეჯრა მღვდელის სიტყვა. იგი დარწმუნებულად თავის მღვდლისაგან, რომ უკანასკნელმა კარგი მოწამობა მისცა მას. ამისათვის გვირგვინის საკურთხ ფულს უმატებს მღვდელს. მღვდელი არ თანხმდება. სასიძო ვარდება დიდ შეწუხებაში. თუ ქორწილი მოეშალა, ხარჯი უბრალოთ ელუებდა და რა ჰქნას, არ იცის. ჩვენ ხშირად გვიანხავს ეს დაწმუნებული მოწამობანი და დიდათ ვევაკვირვებს ზოგიერთი მღვდლების დაუდევნელობა. ერთი მღვდელი სწერს მოწამობაში. «ეს ჩემი საპრელო ქორწინებაში შესვლას აპირებს, მისი წლოვანება მეტრიკაში და აღსარებითი სიაში არეულ-დარეულათ არის ნაჩვენები და ჩემის მხრით ნება ვძლევა გვირგვინის კურთხევისა». მეორე სწერს: «მეცა ესე მოწამობა ჩემს მოწამეს, რომელიც ვხარებდა და აღსარებას იტყვის, ოცდახუთის წლისა არის და ჩემის მხრით დაბრკოლება არა აქვს, ნება ვძლევა გვირგვინის კურთხევისა». როგორ შეიძლება გვირგვინის კურთხევა ამისთანა მოწამობით? თუ მღვდელს არ ესმის და არ იცის მოწამობის დაწერა, რატომ სხვას, რომელმანც უკეთ იცის, არა სთხოვს მოწამობის ფორმას? ნუ თუ მღვდელი ვერა სცნობს, რომ მისი უკოდინარობით დაბრკოლებული სასიძო დაკარგულ-

ლო მისთვის და არასოდეს მისი პატივისცემა და სიყვარული აღარ იქნება მისი მოწაფის გულში? სასიძო სრულეებით მართალია ამ შემთხვევაში. ფულს გაძღვეს და შენგან ვლია რიგიან მოწმობას, შენ, მღვდელი, კი აძლევ შენს მოწაფეს ისეთი მოწმობას, რომელიც ყრთ უბედურ ზარალში ავღდებს უკანასკნელს.

ზოგიერთი მღვდელი მოწმობის მიცემის დროს სწერს: „მარკა თერთან ამ კაცმა უნდა იყოს და დააკრას მოწმობაზედ“. ესეც დიდი უკანონობა არის. ამის ჩამდენ მღვდელს პირველად მარკის ფული ერთი ათად მეტი ხდება, მეორეთაც ამდენივე ჯარიმა ხდება და მასთან წამსახურებით სიაში ეწერება, ხოლო მესამედ აღვლილსაგან უნდა დაითხოვონ კანონით. დროა ყველა მღვდელმა თავის მოვალეობა რიგიანად შეისწავლოს და აღასრულოს. თუ თერთან არ იცის, მცოდნე მღვდელს ჰკითხოს, თუ როგორ იწერება საქორწინო მოწმობა. რიგა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ თეთი ბლოკონებმა და დაასწავლონ თავიანთ სამღვდლოებებს ხსენებულ მოწმობათა რიგიანად წერა.

დეკ. დავით დამბაშიძე.

ძირითადი უპასუხებლობა *).

(გაგრძელება)

არა გგონია, რომ ჩვენი მეთისკელებს შორის აღმოჩნდნენ იმდენად უბირის გონების პატრონნი, რომ გადასხვაფერდნენ ჩვენი სიტყვები და დაგვიარწმუნეს უცხო ენათა შესწავლის უარყოფა. როდესაც რუსთა ქადაგებდა, რომ ყოველი ღვთა, თუ მას ჰსურს ვინმე მისთვის შეიღწიოს ადვანდოს, თავის წმიდა მოკვლეობად უნდა სთავადებს, სავუთარა მუშე აწოვას მათ და მისობა ურის მძით გაზარდოს, ეს, რასაკვირველია, იმასკი არა ნიშნავდა, რომ ბავშვებს დედას მძის მეტს ნუწას მიაკრებოთ, არამედ იმას, რომ ბავშვის ბუნება ჯერ დედას მძით უნდა საზრდაობდეს. იზრდებოდეს და რომ-

დესაც საკმარისად შემაგრდებო, მაშინ სხვა სასწავლანძვევებ უნდა დაუწერონ. უოველა სადას ჭკუის ადამიანი ასე ფიქრობს დედა ენის შესახებზე. პირველს გონებითს საზრდოს დედა ენა უნდა აძლევდეს ბავშვის და რომ დედაც ეს საზრდო გამაგრებს მის გონებას, მაშინ დედა ენა უნდა გასდეს სამარველად, რომელზედაც აღმენდებო უფრო ენათა განივრთული სწავლება.

ეგრეთაივე ენათა შესწავლას და ცრადნას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს უველასთვის და განსავურთებათ ჩვენითვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზნადაემა შეუძლებელია. კარვემ მესეთემ, ავსტრიადას და იმანიის იმპერატორმა, რომელად დედს ეპოეოეალებას სედავად ენებას შესწავლაში, სთქვა: უროდესაც რომელიმე ასედაც ენასა ვესწავლებ, მე ასე გერძობა ჩემს თავს, თათქო ახალი სული მიადგებოდესო. დაიდა პოეტკა და ბრძენება გერმანიისამ გოტემე ამას დაუთქვა: უბინდ დედენას გრდა არა ენა არ იცის, მინ რგაიანად არც ეს დედა ენა იცისო. დაწინაურებულნი ევროპელები, რომელთაც აქეთ თავისი საკუთარა უმადრქვი ლიტერატურა, რომელთ დედა ენა სასეკა მრავალას მეცნიერელების თხზულებით, ლიტერატურულ ქმნილებით, და რომელთა გულტურა მარეულია უმაღლესს სარასამდე. ისინი-ცა საჭიროდ რანცვენ სხვა ევროპეული ენები ისწავლონ. განთლებულნი ფრანგურსი, ინგლისელები, ნემეცნება სცდალბენ ერთმანერთთა ენება შეითვისონ და თავის სამშობლო გონებათს საუნჯეს დაუმატონ გონებითა სამადრე თავანთას განთლებულას მეზობლებისა.

მით უმეტესად საჭიროა ჩვენითვის ევროპეულას ენების შესწავლა, ჩვენითვის, რომელთაც არ შეკვამლან დედაეკვბოთ არც მადრეა ლიტერატურა, არც ფართო მეცნიერება და არც მადრეა გულტურა... მხოლოდ მეტეს შეუძლიან უმზაროს ქართელებს: შეკვეთთ ნუცრო უცხო ენებას და დამათ მარტრად დედა ენის ამაორო. ეს იქნება მეორე უმადრეა უვედმარობა, არა სავლებად მარეული პირველას უვედმარობასა მასა მარედალებული შედგოთ იქნებოდა: სადარბე ქართელა ზრბანა, საღატაკე ქართელთ მეცნიერებასა, სავარტოე გონებას ტრბაზონტასა, შენეება პრატრესისა, წარმეტებას, დამეარება ტობერეას ცხობერეას. ამატომ ყოველმა მოკეთებ ქართელებსამ დაქნებით უნდა უზნობას მათ: ისწავლონ რაც შეადგება დრბად და უვედმარეებით ევროპეული ენება და სვთო ევროპეული მეცნიერება სარბად და გუშომდრად... მარტამ ამასთან არას

*) იხ. «მეგობარი» № 17.



დროს ან უნდა დაევიწყოთ, რომ უოკელი ეკრობიუ-
 უი ჟერ საფუძვლიანად ითვისებს თავის სამშობლო
 ენას და მხოლოდ მასს უფრო შეუდგება ხოლო უცხო
 ენების ცოდნის შემქნაში. მთელს ეკრობიუმს ამ უმად
 ვერც მოსებინით მივრე ტრამპაზდ იმისთანა პარტია,
 რომელთაც დედა ენის უფროსა და უფროდინობა ან
 მიანდეთ მიუტრეპებულ და ძლიერ მავნებელ დას-
 შაულად...

რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენას, ჩვენითვის,
 ქართველებსათვის, მას მრავალ კაცში მნიშვნელოვანაა.
 იგი ანის პირველად სასკოლოში ენა, საკლდეულო
 უფლებს ქვეყნადმი ხელახათვის, მეორედ, იგი გულ-
 ტურული ენა, რომლის დახმარებით ვითვისებთ კერ-
 ძულს განათლებას; მესამედ, იგი ანის ენა თვითად
 მრავალს ენისა და მას მიუტრეპებლად მოკლეს ზნუნი-
 ველე მომავალი, ერთის მხოლოდია ენათ: განის
 (мировой языкъ) როლი, მეორედ, იგი ანის ენა
 ერთ-მოდრწმუნე ხალხისა და აქვს ლიტერატურა შინაწრ-
 სით და მიმართულებით მსაკაცს ქართულის ლიტერატურ-
 რისა; მესამედ, იგი ანის ენა ხალხისა, რომლის ბუ-
 თან ასტრონომი, ხალხის სურვილმა და განგებამ შეერ-
 თა ბუდა საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა
 მიუტრეპებლად მისაღვეს ქართულ ენისა, როგორც
 სკოლაში, ისე სახლბაში, და ქართველნი უნდა ვინდ-
 ელობდეთ სრულად შევითვისინოთ ეს ენა და მისი ლიტ-
 რატურა.

მხოლოდ, რათა ეს შეთვისება იყოს ჩვენითვის
 სარგო და სასარგებლო, საჭიროა იგი ემორჩილებოდეს
 ბუნებისა და ბედავობის განხის. გარნა ეს განხი
 ბოთისაგან, რომ მეორე ენა სახლობაში მიწავლებოდეს
 მას უფრო, როგორც ბავშვი გაიმართება დედა ენაში, დახ-
 დობაგვით მშვენიერ-მეშვენიერ წოდდენ და სკოლაში არ
 უადრეს მეორე წლისა. თუ ჩვენ ქართველებს ჭკვიით
 მოვიტრეპვით და ამ რაცისა და განხის ან ვუღალატებთ,
 რუსულის ენის შეთვისება რამდენ თუ აგებებს ქართულს
 ენის, რამედ ძლიერ დახმარება მისს წინაშეობას და
 აუგებებს. ამ რიცხვად დუენებელი სწავლება ენებისმო-
 ხარდს თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუმდიერებს,
 ენის აღდგობას განუვითარებს, სასოკარსაც განუმტკი-
 ვებს, შედარებითს ნიჭსაც უფარვთებს, რადგანაც უ-
 ვეღ ნბავიუვად უცხო ენას აღარბინებს დედა ენისთან
 და უხსნის მათ შორის მსაკავებასა და განსხვავებასა,
 ენის ბუნებას ღრმად შეთვისებინებს და ორკვლს სამ-
 დვილ მეტრეპელობას მიანიჭებს. ამ სასარგებლის მკლ-

ვისათვის ჩვენ ვკმარებთ მხოლოდ მტკიცედ აღვასრუ-
 ლოთ დედა ენის, რუსულის და სხვა ენების შესახებ
 მომდებრება, რომელაც მტკიცებრება განახატა სიტუა-
 ბით: დედაცთვ დეროთის დეროთის და კავისას კვი-
 სრასა. ძლიერ ადვილად ატება წამოტრება: ხელს ქვეშ
 ქართული ან რუსულია. ამასათვის საჭიროა მხოლოდ
 მოძრაობა ტურტურს ენასა და სულელის უელისა,
 მაგრამ ვინც საქმეს სწავს ვაწკით და ხინდადით და
 ვისაც სამშობლოს საეუო და ბუნებურება სათამაშო
 ბურთად არ მიანნა, და ჭერასტრატის სახელის მო-
 პეება უმადლესს თავის მიზნად არა აქვს, იგი უოკელ-
 თვის იტყვის: რათა ტრატით არ აარსს საქართველოს
 ერთეობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადვილას,
 საჭიროა მისა შეკობთ ძაძში ქართული ენა და შვე-
 რად მოუბთ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და
 მხოლოდ მაშინ ეტლი ჩვენი ერგობისას ჟერკების
 სისწრფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მადღვეს
 სამშვიდობო სადგურსა.

აქ ერთი გარემოება ითხროს აღნიშნის. ჩვენითვის,
 ქართველებსათვის, ბევრად უფრო ძნელია ეკრობიულ
 ენების შესწავლა, ვიდრე თვით ეკრობიულებსათვის.
 უმადრებს მაშინა ამისა ეს განსათ, რომ ჩვენი ენა
 ძლიერ განიწმენეს ეკრობიულ ენათგან და ამ უგანსხვალს
 ერებს ენა ხლოდა ნათესაობა აქეთ ერთმანეთში. ამიტომ
 ჩვეულებრივის ნიჭის ბატონნი ქართველი ჭკვიით მო-
 იჭებენ, თუ ქართულსა და რუსულს გარდა, შეეჭაება
 მხოლოდ ერთს რომელსავე ეკრობიულს ენას და ის-
 წავლის მას გარდა, ზედ-მეწვიით, ღრმად საძისა და
 ოთხის ეკრობიულის ენას გამოდგება ამისთანა პირს
 არ მოუხლებენ: ვერც ენებს შეისწავლას ხინდავად და
 აზროვნებდეს დაუჭირებლად, რადგანაც შინაწრით გამ-
 დიდერებს მხოლოდ სულ ორგვითთ გამდიდრებაში იჭ-
 ნება გაბმული, ეს ჩვენი რჩევა, რასვევრეკილია, არ შე-
 ესება განსაუბრებულის ნიჭის ბატონებსა, რომელთაც
 შეუძლიან სრულად შეიარგონ რამდენიმე ენა და ვა-
 ნების სამდიდრესაც ზარალი არ მისცენ. რაც შეეხება
 დროს, სადგანაც უნდა იწვიოდეს ეკრობიული ენის
 სწავლება, ამ დროად უნდა ჩაითვალოს ის ვაჟა, როდ-
 საც ვაწკილი რუსული ენაზედ თვისუფლოთ იწვიეს
 აღმანებს, და გაიმართება რაც მათე წელწადზედ აღ-
 რე მოულოდნელია. მეტი იქნება ამას დაუნიტოთ, რომ
 როგორც რუსულის ენის, ისე ეკრობიულის ენის სწ-
 ვლების დროს დედა ენაში გარეგნობა არ უნდა მესწ-
 დეს, რათა ბავშვმა შეათვისინოს მთელი სამდიდრე სამ-

შობლენისა და შექმნის სრულად მეტყუელი აჩვენა.

თუ ხვეწ ერთად ისტორიას ვადავითავებებთ, იქვე უხედავად დამტკიცებს ამ აზრსაც, რომ 'ხურგის შექმნა' დედ-ენისათვის დიდად აზარტუბის ხელსა, ახვეწ-თქმის და უხის სწავს. ან ერთხელ მომხდარა ხელსთა ისტორიულს ცნობებში, რომ მადლი წოდება რამე-მესამე მდინე, მეორე ხარისხის ტომისა განხედ განსვდომის დედა ენისა, უარ-უგვა იგი, აღარ უგადრ-ნისა და დედა ენად დროებით ვადავტყუა სახელწოდო-ენა, ან დაწინაურებულ ხელსაც, ამ მოვლენის გე-ეგონ, სხვათა შორის, ავტორიას სლავანების და ვენ-გონის ისტორიასში. იგუ დრო, როდესაც ვენგონის მატანტები და სლავიანური მანები აღარ გადრულობდნენ დედა-ენის, ათავლწუნებულ ქვეყნად და თავის შეიღებს აკინადან ნეკრეტის ენაზე და აღაზარებდნენ. მეტე რა ვაშოვად აქედან? ამ ვაუტარებებს ვგონათ, რომ თა-ვანთ შეიღებს დაწინაურებდნენ, მალედას გონების ხარისხზე და ათავანდნენ, ას ვა ან თუ გონების სი-სურტე და სინხანეუ მიმიგეს. ისტორია ამოწმებს, რომ ეს ხანა ვენგონიანების და სლავანების მათ წარ-სულში იყო სრულად უხანგოთ, თითქმის ვერც ერთს ვამოაჩენის ნიჰის პატრონს ვერ მოსძებნიდათ მათ შორის და ამდენად სურტნი სინხანენ გონების ძალით და მსურბობით, რომ მათი მოძავალი აღარკეის სწამდა და მათს განაწმენებს მოვლადნენ. მაგრამ როდესაც ვენ-თინც და მეორეინც მიხედნენ თავის დარემის მიხეცის, მათქვეს ჭეოროკანი ურხადლება დედა ენის, სამშობლო ლიტერატურის და ასტორიას, ეროვნულს მიღებში და წყნებისა და ეროვნულს განათლებას, მამინ ვა-ცონისდნენ, მოდონებდნენ, ეს ერთი მალა-ნაჰეკე-რი პირი გამოეყენეს საზოგადო ახარეცხედ, წინ წასწავს თავისი ცნობებს და ამ ენად სწავსენ აზრის ბრწყინებულ მოძავლის ანალით. რუსეთშიც ვსედათ მსგავსისვე მოვლენის, უნიჰო სუამოკლეების, სურ-სეოების, ტრადიციების მათეც გამოვადნენ სალი-ტერატურო ახარეცხედ გობობეოვა, გოგოლი, ვუგონი, ლეონტოვა, ბელისეი, მის შემდეგ, რა-დესაც მალედას წოდებაში ფარსტუხულის თაყვის-ტე-მეტირდა და ვეროკანი ადგილი მიენიჭა რუსულას ენის და ცნობების შეთვისებას, როგორც რუსობაში, ასე სკოლაში.

ქართველთა ტომთა ცნობებში ვადეკ უფრო თვალის ამხელს მატალითებს ვსედათ. თუ სანატრული შედეგი მოხდეს მას, როდესაც ქართული სკოლა წინ

ურღვის რუსულს სკოლას ქართველის განათლებაში, მის ბრწყინებულ მოძავლით წარმოგადგენს გიორი მეორე-მეტე წლებსა სახელგანთი სრულად ბატონიანი. ამ სახელ-განთქმულმა ქართველმა ვერ ქართული სკოლა სკოლა და სამხედრო გაათავა და შემდეგ ვაყვანობის დროს რუსეთში წავადა. რუსული ენა მთელს თავის საცონტელში ამდენად ნაქლებად იცოდა, რომ მისი რუ-სული დაზარევი უფრო მეტეკეა იყო. გონს ვისც მძლესკრა და სხვა ისტორიკოსები ურხადებით უკით-ხნია, ეცოდინება, რა მალედა აუნებენ ამ სამხედრო ქარ-თელეს გიორის. იგინი უხედატესობას ახვეკენ მას სა-მძლესკრის თით უხედატესობას მარშლების წინაშე და აღაზარებენ, რომ თვით ნაშოლენსც საქმის უხედატესობა ბრძოლის ველზე და მარჯვედ ქვინადმდეგობოდა. ესევე მოძავლით გემიტარებს, რომ ქართული სკოლა, დამთავრებული რუსულის სკოლით, ირდის ერთის მს-რით მდოეც სიყვარულს სამშობლოსა, მეორე მსრეც ტეშობატს ერთგულებას რუსეთისას.

აქ შეიძლება შეითვედ ვასსენდის გამოჩენალი მზოთეოსობა თარხნისა და სასოგადოს იგი წინ-აღდეგე მოძავლითად, რადგანც იგი მოტარობისასვე მო-შორდა საქართველოს და აღაზარდა სამშობლო ენის, ლიტერატურის, ისტორიის და საზოგადოდ თვისას ეროვნობის უფოდინარობაში. მაგრამ აქ წინააღმდეგობას წყნის აზრისა და ახარეცხის მხოლოდ აჩარეკული გო-ნება, რომელიც სურს სავანს შედაპარის ნაბეჭდილების მსხედვით და არა სინჯავს საქმის ყოველის მსრით. მეტეოთ და შედეგოტი იტყვის: უუგველთა თარხნისა და უხედატესადან ქვეყნის მინეჭებულ მეტად მლოელი გონება და ეს გონება რომ აღმხედდათ უფოლაიყო დედა-ენის განაზრეკებულ, ვაგონის ქვეშ უფრო ვადეკ მომეტე-ბულს მალს, მომეტებულს შემოქმედებათს ნაჰს ადმო-მინდა.

უფრო ვადეკ სინ-მალდა ლაღდებს ამ შემოხვევაში შედატებს აღარლებსა შედეგ-ურგულეობას. უხისსენდნი მველ-საეუნებში განთქმულნი იუნენ თავისას მამა-ცობით, გამშეღობით, ვაყვანობით და შედეგდნენ წინა-ურგულს საქართველოსაში. მაგრამ შედეგში მთ მალა-ურგულს უფლადტენ ეროვნობას და დედა-ენის, გასტყავს იგი რამდენურს ენაზე და შეეუღლებს, და რა შედეგი მოაზრეკს? ვისც ვა ბ— ვაზბეგის მცხავრობა წყითხნია, ეცოდინება, რომ ესედა შე-დეგ-ურგულეობა ყოველად სიცოდავნი, მსდლანი და წუღ-წადებულნი არან. წინად მთ შურის თვლით უურგებდნენ მეზობელნი, ახლა ვი დაბრეკებულნი და



მისხარად აკლებულნი ჰქონოთ. სრულიად სხვა სურათის ეხედეთ აჭარაში. მართალია, აჭარელებმაც სარწმუნოება შეიტაცეს, მაგრამ ენას და ერთგულებას არ უღალატეს და თავით ფეხებანდის დაჩნენენ ქართველებად. და დასეთ რა გუაგურობით, გამებლაობით და ცანურის ცანობით არიან შემკულნი!

მაგრამ შორის სდ მივლივართ, გარშემო მივაივლივართ და უფრო გავაოცრდნ და საკულისხმო მივლივართ და ვინახავთ. შირველ მაცალიან წარმომადგენს ჩვენი ნასწავლი ქალბა. არც ერთს სხვა ერის ქალების აღზრდაში არ არის ისე სასტიკად აღზრდულნი უფრო დიდი დედა-ქვამე და შვილები მშობლიური, რაგონტ ქართველ ქალების აღზრდასწავლაში. მეორე მხრით არსად ნასწავლი ქალბა ისე დატეხულ-დაჭედილ-ბული არ არის, როგორც ჩვენში. გულწრფელად რომ გავტყუდეთ, სურათადე შინაფორმის გარდა, მთელი ჩვენი ნასწავლი ქალბა წარმომადგენს ქართულთა არსებათა გრძელს, რომელნიც მოკლებულნი არიან საღის ადამიანურს აზროვნებასა, კეთილშობილს მისწავლებასა, დამუდარ ხასიათსა და წამის ჩაბუჭდილებანი მით ათამაშებენ, როგორც ქარი ბურბურუშებს. ქართველმა ქალბა ვერ იზინა თავი ვერც ერთს მეტნაყრებაში, ვერც ერთს სელაქებაში, ვერც ერთს სასოციალო საქმეში. ახლანდელი ქართველი ქალბა აზრდილიც არ არის წინა-დელ მანდილოხსნისა, რომელიც წარმომადგენდა მტკიცე განსაზღვრულს და მეტად მატეოხარტე ტიპს, აღზრდილ-სა და დამთავრებულს ერთგულს ნიადეზედ. იგი აგრეთვე ბეგრად უნს ჩამოხრება უბრდლო წოდების ქართველს ქალბაც, რომელიც თავის სფეროში მალა და არ უძლეურება, როგორც შირველი.

ახლა გავისყნოთ ჩვენი ზოგადიოთი არსიტორანტიული გვარეულობანი, სადაგანც ქართული ენა და ქართული ერთგობა გამომკვებულია, და მაგვით ჩვენს თავს ვიხსება, მოაზრება ამ გვარეულობათა შორის ამ უმად ერთი, მალდალს ნიჭის და შესანიშნავს მსხეობას მატრონი? დიოკრანის ფანთანაც რომ ეკება, მით შორის ვერ იპოვიან ამ გვარსმარს.

მეორე მხრითაც თუ მოკვლით საქმეს, აღმოჩნდება, რომ ჩვენი მადლი-ნიჭიანი მოკმედიანი შირნი, რომელიც ჩვენი ამპარტუხანობას შეადგენენ დღეს, რომელთა გახვლეს ჩვენი ცხოვრებაში დრმა და ნაყოფიერი კვლები და რომელთა სასელი ისხეიების და ადოდებას, ვადრე ქართველთა ერთი იტოცხლებს დედამისს რეგრეტედ, გამოვადინენ ამ სახლობათგან, სადაც

ქართულს ენას და ვეკლა ქართულს საეწუგს დადის მატრიათა და საეწუგულით ეპრობოდენენ. ამასთან ამასც შეენიშნავთ, რომ თუ ეხლა ჩვენში აზოგიანს უცხო ენების მშვენიერად მივადენენ, ეს გასლავან ის შირნი, რომელიც მატრანამადგენე ქართული ენა ზედი-მეკენით შეუსწავლით და ამ ცოდნასეად აუშენებათ რე-სულის, ფანტიციულის, ინტლისურის და ნემენტუის ენების შესწავლა.

მ ვ ა რ მ უ ი მ რ მ ბ ი .

(დასასრული *).

მოგვეყვს შეუცვლოლად ისრაჯის სობრძინდგან რამდენიმე ადგილი.

„მომღერისი მიმართ ნუ აღერევი, რათა არა ვითარ შეიკრა დასაწყისსა შინა მისსა“.

„ძადნიერთათანა ნუხვალ გზასა ზედა, რამეთუ რათა არა დამრიგებელ ექმნეს შინსა ზედა, რამეთუ მან ყოხ ნებისაებრ თვისისა, და სიკოთისა მისისათანა წარსწყმდე“.

„რამეთუ უკეთუმცა არა რაა მით შესამრწუნებელი შეამინება, მხეცნი მოხლომებით, და გველთა მსტეციელებითა აღდგინება წარსწყმდელს ძრწოლანი, და შაერსა ყოელითურთ ევრ განსალტოლეელსა უარისს მყოფელნი ხილვად.“

„რამეთუ მოშიშისა ბოროტი თვისითა წამებითა დასჯილნი, მარადის მიიღებს გონებასა შინა უბადრუცი დაპრობითა სეინდისისთა“.

„მეგრი-ის“ ზოგიერთი მწერლების აზრით სრულებით საქმთა, რომ „დაბადებიდან“ ასე შეუცვლილად გადმოუბეჭდონ მდებოი ხალხს საღმრთო წყრილის სიტყვები და დაუფიგონ საკითხავად... არა თუ მდებოი ხალხი, თვით ეს „პუბლიცისტებიც“ იხისსა ვერ გაუტეგენ ზემო მოყვანილ სიტყვებს, რამდენიც უნდა ჩხრიკონ საბა-სულხან მარბელიანის და ჩუბინოვის ლექსიკონები!

როდესაც ჩვენ მდებოი ხალხისათვის საკითხავ მოთხრობათა ვადგენთ «დაბადებიდან», შეუცვლე-

*) იხ. «მწეკმა»-ს № 18

ლად ეტროთა საღმრთო წერილის აღვილად გასაგებ
ადგილებს, მაგრამ ზემოდ მოყვანილი ძნელად გასაგები
სიტყვების მსგავსად უფრო გასაგები ერთი ესწერეთ. «ივე-
რია»-ს «უხამსად ეფრადმბაიურეულად» მიანიჩა
ჩვენგან საღმრთო წერილის ზოგერთი სიტყვების და
აზრის უფრო გასაგები ერთი ხმარება. აი ამის მიწეში:

საღმრთო წერილის სიტყვა. გასეგები ერთი დაბეჭდილი.

ვითარცა უფრო ალუქვა
აღიქმა ღმერთსა, ნუ ყოვნი
მიცემად მას, რამეთუ არ არს
ნება უეტროთათანა, შინ უფერ
რადღებნი უფრო აღსთქვა მიცე-
კითხილ არს რომედ არა აღიქ-
მად შენდა, ვიდრეა აღიქმასა
შენდა და არა მიცემად.

როდესაც მისცე ღმერთს აღ-
თქმა, დაუფრენებელი ჰდასრულე
გიდრე; უხვობასა არ აღიქმა,
ვიდრე აღიქმა და არ ასრულება.

ფადლი მამასროდელი მამ-
მისა და მამინებელი სიბერედ
ფადისა რაბა აღმოუფრან იგი
ყორანთა მადნარისაგან და რათა
შეგამსეს იგინი მაროვერ ირბი-
სათა.

თავის მამის დამინებელ
თავებს და დედის მორჩილებს
ამდებს; გამოკორტნის ყვავი
და შესქამენ ორბთა ბარტყნი.

მივედ ფუტარისა მიმართ-
და შესწავლე. ვითარი მომქმე-
დი არს, სოლო მოქმედობას
რადღენ პეტროსანსა ყოფს,
მოდისა ნაშრომსა მეფისა და
გლახანი სიტყვებელ დასდ-
ხენ, სოლო საუფრედ არს
ყოველთა და დიდებულ უფრო
ძალით უძღურ მყოფი.

წადი და ნახე ფუტყარი და შე-
იტყე, თუ როგორი შრომის მო-
ეყრება იგი; ამისთვის არის ის
მეფარებული და ნაქება ყველა-
საგან, თუმცა ღონით ვი სუსტია.

ამის შემდეგ ვისაც საქმის რამე გეგება, ეთ-
საც გულთ სოქს, რომ ჩვენს ხალხში გეგეცდენ
საღმრთო-საკაცებო საკითხავი წინაგები, ვისაც ესმის
დიდი მნიშვნელობა და გეგენა ხალხზედ ზნეობი-
თის მხრით სოლომონის და ზირაქის მშვენიერ სი-
ბრძნეთა და იგეთა საკითხავებისა, ვისაც შეუთანას-
წორებია ჩვენი დაბადების თარგმანი ებრაულ, ბერ-
ძულ და სხვა ენათა თარგმანებთან, ის, რასაკვირ-
ველია, დაეცთანხმება, რომ ჩვენ მოკამათეს, «ივე-
რია»-ის მწერალს «დუმიოს» და მის მსგავსთა იმო-
დენად ესმისთ დაბადების მშვენიერი სენტეცეაბა და
სიტყვები, რამოდენათ ესმისთ მათ ჩინური ენა, ბევრ-
ჯერ იყო აღძრული კითხვა, რომ ჩვენი საღმრთო წე-
რილის თარგმანი შესწორებულიყო და დროა, რომ
ეს კითხვა სისრულეში მოვიდეს და ჩვენი საღმრთო
წერილის ზოგიერთი სრულებით გაუტეგბარი სიტყვები
გასაგები ერთი იქნეს თარგმნილი და დაბეჭ-
დილი...

1860 წელში განსვენებულმა დეკანოზმა სამ-
ციებმა სთარგმნა პარაკლისის წიგნი რუსულად ენი-
დან. იმ დროს სამციებს მეტად ზიარგი მთაწმდე-
ლად რაცხდენ. უკანასკნელ დროს დეკანოზმა ზიარ-
გი ხელიძემ ამ პატარა წიგნში 1000 შეცდომა იპო-
ვა!... «ივერის» ზოგიერთი მწერლები ვანა ამას
დაიჯერებენ!

საღმრთო წერილის თარგმანებში მრავალი ად-
გილი უფრო კორექტორებს წყალობით შეცდომით
არის დაბეჭდილი; აქაოდა საღმრთო წერილის სი-
ტყვები არ უნდა შეიშალოსო და ამისთვის ისინიც
მომდგარან და ერთხელ შეცდომით დაბეჭდილი სიტ-
ყვები და უკულმა დასმული ასოები ისე ხელუხლებ-
ვად მეორეჯერაც დაუბეჭდათ... წაიკითხეთ კარ-
გად საღმრთო წერილის სიტყვები, კარგად დააკვირ-
ლით და თქვენ დაინახათ, რომ მძიმე წერტილი და-
სხვა ნიშნები სრულებით თავის ადგილას არ არიან
ნახმარნი, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგა-
დოება, განსაკუთრებით ნასწავლი პირნი, გამოთქ-
მენ თვითან აზრს ამ კითხვის შესახებ და დაეხმარე-
ბიან ჩვენი დაბადების შესწორების საქმეს, რომელ-
ლიც უკვე აღძრულია დღეს ყველასაგან პატიე-
ცემული იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრეილისაგან...

ამას წინად ერთი ვილაცა «ილიკო» სოფელს
შროშიდამ კორესპონდენციას სწერდა «ივერია»-ში
და საზოგადოებას აუწყებდა შრომის საზოგადოების
სკოლის შენობის სამწუხარო მდგომარეობას. ბ.
ილიკო იწერებოდა: ზოგიერთ სოფლებს აღმოუჩნ-
დენ მხრუნველნი პირნი ამავე სოფლებშივე და-
ბადებულთა და გამოჩენილ პირთა შორის, მაგრამ
შრომის საზოგადოებაში ვი ვერ ვხედავთ ამავე მოე-
დენას, თუმცა ამ სოფელშია დაბადებული ერთი პი-
რი, რომელსაც შეეძლო, რომ ამ საზოგადოების
სკოლის საქმე ეთავა და სკოლის მშენებელი შენობა
არ დამპლიყო წვიმისაგან. ამ კორესპონდენციის
ბოლოს ხელს აწერს ვილაცა «ილიკო». ეს «ილიკო»
აზლად ბავშვია და ძველი საქმეების არა გეგება რა;
სწერს და სჯობს იმისთანა საქმეზედ, რომელზედაც
არავისთვის არა უკითხავს რა და არც თვითონ ესმის.
რა იცის მან, თუ რამდენი შრომა და დეწლი მი-
უძღვის იმ შრომელ ერთ პირს ამ რწებელი შენო-



ბის მოპოვების შესახებ? რა იცის ამ ბ. «ილიკომ», თუ რა დაეი-დარება მიადე ამ პირს იმის გამოისო-ბით, რომ მას უნდოდა, თანახმად მთელი საზოგადოების სურვილისა, შეუგულ საზოგადოებაში აღშენებულიყო ეს სკოლა? მაგრამ მაზრის უფროსმა არ იტება. რა იცის «ილიკომ», თუ როგორ უკანონოდ მოიქცა წინანდელი მაზრის უმფროსი და როგორ აღაშენებინა საზოგადოებას სკოლა დუშხარს ადგილზე? რა იცის «ილიკომ», თუ ამ შრომელმა ერთმა პირმა რამდენი იომა იმის გამო, რომ ამ სკოლაში დანიშნული იყო განსვენებული ტროისკიან ერთი სრულებით უფარვის მასწავლებელი, რომელიც მამასახლისის დახმარებით, რასაკვირველია, ნახევრის ჯამაგირის დაპირებით, თითოეულ გლეხს ახდევინებდა სასწავლო ფულს სამოთხე წელიწადს და სკოლაში კი ერთი შევირიდიც არ ჰყოლებია? სრულებით არ იცის «ილიკომ», თუ რა მიზეზმა მიიყვანა გლეხები იქამდის, რომ მათ, სკოლის შენობა სულაც რომ დაღობეს და დაიკეტეს, მაინც არ ენადლეება. ამა სკოლის შენობა დედგათ ს. შრომაში, საზოგადოების შუა ადგილს, ჩვენ დაწმენილი ვართ, რომ ეს სკოლა ამ სამწუხარო მღვდამარეობაში არ იქნებოდა. მხოლოდ ძველი დირექტორის და მაზრის უმფროსისაგან შეიძლება იქნებოდა იმისთანა ახარებული ადგილის აღმორჩევა სკოლის შენობისათვის, როგორც შრომის საზოგადოების სკოლას აღმორჩივის მათ საზოგადოების სურვილის წინააღმდეგ. ბუნებრივად ვერ შეიძლება ყოველ დღე ათ ვერსზედ სიარული და ამ მიზეზით სკოლას დავაბრუნებდნენ მდამუშრები და დღეს სრულებით ღებება შენობა და იქცევა. ვისი წყალობით? უტყინო და უგნური ბატონების წყალობით, რომელთ ხელთ არის ძალა აღმ დაღმა ხენისა... ამ პირების წინააღმდეგ ვერა ვააწყო რა თავისი კანონიერი და საფუძელიანი თხოვნით ვერც საზოგადოებამ და ვერც ბ. «ილიკოსაგან» აღნიშნულმა პირმა. ესეები არც ერთი არ იცის «ილიკომ» და ამისათვის სწერს ასე ტყუილად, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, «უზარაზროდ», საქმის გაუგებრად. ამისთანა კორრესპონდენტები ხომ მრავალი არიან ეხლა ჩვენს კურონხელს სოფლებში და დაბებში...

* *

„Новое Об.“ №-2317 №-ში ერთი ელაცო მოკეთებოდა ქუთაისის სა-უღიგო სასწავლებელში მოსამზადებელი კლასის დახურვის ისტორიას. ამ მოსამზადებელი კლასის დახურვა მაზრა 1888 წელს, აგვისტოს თვეში და ეს მამაცხონებული ორი წლის შემდეგ გამოადგარა და საზოგადოებას ატყაბინეს, თუ როგორ მაზრა ეს საქმე დაზოლოს კითხულობს: «ახეთი «მწყემსი» რატომ არასტერს ამბობს ამ საგნის შესახებ? მოსამზადებელი კლასები დაიხურა ბ. ბატონების მეცადინეობით და შუამდგომლობით. სამღვდლოებამ შეიტყო, რომ ამ კლასების დახურვა მათი შეილებსათვის და რატომ არ ხსნიან ამ კლასებს, მით წამეტურ, რომ ექსპარხოსისაგან ნება დათულობა ამ კლასების ხელახლად გახსნა?» ამ კლასების დახურვა რომ მათი მათი იყო, ეს სამღვდლოებამ კარგად იცოდა წინდაც, მაგრამ ბ. ბ. ხათრს ველარ წაუფილენ მმ-დებუტები და არა თუ ერთი განყოფილება, მეორე განყოფილებაც დადებურათ სამღვდლოების დებუტებს, მაგრამ მეორე დღეს «მწყემსი-ს რედაქტორმა ხმაც გამოიღო და კიდევ ითავს, რომ მეორე მოსამზადებელი კლასი დაშთინილიყო. ეს ბატონმა ლხ სრულებით არ იცის და არც ის იცის, თუ «მწყემსი-სა რა სთქვა ამ საგნის შესახებ, «მწყემსი» თავის დროზე ამბობს, რაც სათქმელია და თუ ზოგიერთებს არ გაუგონიან, მათ ვაგახსენებთ, რომ ყრუსთვის ორჯერ არ რევენ.

როგორ შემოიღოს წიგნის ბეჭდვა.

(დასასრული *).

წიგნების ბეჭდვა ერთბაშად კი არ შემოიღიათ. ბეჭდვის წინ შემოიღებულ იქნა «ტაბლიცის ბეჭდვა». 1300 წელში იტალიელებისა და ისპანიელებისაგან ნეტყებამ შემოიღეს სათამაშო ქალაქის ხმარება.

*) ის. «მწყემსი-ს № 17 1890 წ.

პირველად მერმანიაში სათამაშო ქაღალდს ხელით ზატყდნენ. მაგრამ რადგან სათამაშო ქაღალდი ბლომდ იხყიდებოდა, ამიტომ მისი მზადება დიწყეს ტრანზიტის შემწყობით და ბოლოს სხვა საშუალებად მოიგონეს. ხუეე ამოკრეს სათამაშო ქაღალდის გამოზატყულება და ამ ხის შემწყობით ბეტადიდენ სათამაშო ქაღალდს, რამოდენიც სურდათ, სათამაშო ქაღალდის გარდა ფიცრებზე სურათებსაც კრიდენ.

დღესაც ინახება რც.ღა-ათ თხზულებამდის, რამდენიც დაბეჭდილნი არიან ზემოდ მოსხენებული საბეტადიდის შემწყობით. ამ თხზულებათა შორის შესანიშნავია «დაბადება რამობითთვის»—კრება დაბადების 40 სურათისა, რომელიც ვადმოსატყულნი არიან ერთი მონასტრის ფანჯრის მხატვრობისაგან. ეს წიგნი დღეს დიდს ნაშთს შეადგენს. ერთ მის ცალში ინგლისელმა ერთმა ლორდმა მისცა 1,300 მან.

ამ საშუალებით ბეტადე ძალიან საძნელი იყო ხელთნაწყრის თითოეული გვერდის შინაარსი უნდა ამოკერათ ფიცარზე. ეთქვით წიგნს ჰქონდა 100 გვერდი, მაშინ ასი გვერდი უნდა მოეკრათ ფიცარზე.

იოანნე ბუტენბერგმა პირველმა მოიგონა ხის მოძრავი ასოები. ამ ასოების შემწყობით უფრო ადელი იყო სიტყვების შედგენა და შემდეგ ამ ასოების ვადაშლა სხვა სიტყვების შესადგენად. რომ თავისი აზრი სისრულეში მოეყვანა, ბუტენბერგმა მიჰპართა ერთს მდიდარს კაცს, სახელად შაუსტეს; ამ კაცმა მართლაც შემწყობა აღმოუჩინა ბუტენბერგს ეულით. მალე ბუტენბერგს და შაუსტეს შეუერთდა შაუსტის სიძე, შეფფერი, გამოცდილი მწყრილი, რომელმაც ხის ასოების ნაცკლად შემოიღო ლითონისაგან ჩამოსხმული ასოების სმარება.

როცა ყველაფერი მზად იყო, რომ წიგნების ბეტადე დაეწყოთ, შაუსტმა განიზრახა, რომ მართა მას ჩავგდო ხელში წიგნების ბეტადე და ეს თავისი განზრახვა კიდევ შეასრულო. მან უჩიღლა ბუტენბერგს ფულდები, რომელიც უკანასკნელმა ისყსა მისგან. ბუტენბერგს ეპართა შაუსტის სულ 2000 ფულდენი. საშაჯულომ ვადუწყეიტა ბუტენბერგს, რომ მას ან ფულდები დაებრუნებია შაუსტისათვის და ან სტამბის მოწყობილება მიეცა მოვალისათვის. შაუსტმა და შეფფერმა, ბუტენბერგი როგორც კი მოიშორეს თავიდან, დიწყეს წიგნების ბეტადე. პი-

რველად 1455 წელში მათ დაბეტადეს „დაბადება“, რომელიც შესდგება ორი ტომისაგან. «დაბადების» თითოეული გვერდზე არის 42 სტრიქონი, ამიტომ ამ წიგნს უწოდებენ «ორმოც-ღა-ორ სტრიქონიანს დაბადებას». დღეს მართა თექვსმეტი ცალი არის ამ საინტერესო წიგნისა: ამ წიგნებში ყველა დაბეტადელია ეტრატზე და ცხრა—ქალაქდზე; ყველა ეს წიგნები მოიპოვებინ ინგლისში და საფრანგეთში. დღეს ამ «დაბადების» ფასმა საოცრად მოიმატა. 1884 წელში ერთ ამისთანა დაბადებაში აძლიეს 39,000 მანეთი.

პირველად წიგნების ბეტადე საიდუმლოდ სრულდებოდა. შაუსტმა სახარებაზე დააფიცა ყველა თავის მუშები, რომ მათ არავისთვის არ ვაემხილათ წიგნის ბეტადის საშუალება. მარა აჩისა, იგი ჰეკტდა ხოლმე მუშებს სამუშაო სახლებში, რამდენიც აღშენებულნი იყენენ ბნელ სარდალებში.

შაუსტს შეეძლო თავისი ვაძიერაობით დეეკარება ბუტენბერგისათვის ის სახელი, რომელიც უკანასკნელმა დაიმსახურა კაცობრიობის წინაშე საბეტადის გამოგონებით, რომ ახალგაზდა შეფფერის არ დეტრობება ერთს წიგნზე შედ-წარწერა. სხენებული წიგნი დიბეტადე მიანცში 1505 წელში. ბი ამ წიგნის შედ-წარწერა: «1450 წელში, მიანცში გამოგონებულ იქმნა ნიქიერი ბუტენბერგისაგან სტამბის საეირველი ხელოვნება, რომელიც შემდეგში ვამშენვიერეს და ვაფრცელებს ხალხში თავიანთი შრომით შაუსტმა და შეფფერმა».

ამასობაში ბუტენბერგმა კეთილი კაცების დახმარებით ვალო ახალი სტამბა, სადაც 1460 წელში დაბეტადე «კატალიკონი»—ლათინური გრამმატიკა ეტიმოლოგიური ლექსიკონით. წიგნის ბოლოში მოსხენებული აქეს გუტენბერგს, თუ როგორ დაბეტადე მან ეს წიგნი. ბი ეს საინტერესო უკანასკნელობა: «შუენავისის შემწყობით, რომლის შთავგონებით ბავშვები შეიქნებინა ხოლმე მვერამეტყველნი და სწიზრად მტერენი ხედვებთან მისს, რაც დაფარულია ბრძენთაგან,—დაბეტადილ და ვათავებულ იქმნა ეს საუცხოო წიგნი «კათალიკონი» 1460 წელში შემდეგ მრისტეს განხორციელებისა, დიდებულს ქალაქს მიანცში, რომელიც ეკუთვნის ნემცებს, რომელთაც, ლეთის მადლით, სხვა ხალხთა უწინ გამოიგონეს ეს უმათერესი სულიერი ნათელი. ეს წიგნი დაბეტადე-

არა მელით, გრევილის და კაღის შემწობით, არამედ საბეჭდით».

შუაღუტო ჰყიდა ნაბეჭდ წიგნებს პარიჟში იმავე ფასად, რა ფასადც ისყიდებოდნ ხელთნაწერნი წიგნები, და მალე გამდიდრდა იგი. შუაღუტის გარდაცვალების შემდეგ სტამბა გადაეცა შუუფურის ხელში, რომელიც დაიღუპა მინციის აღების დროს მტერითაგან. ასოთ-მწყობდენნი, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ, «ბუტენბერგის შვილები» — გაიფანტნენ იქით-აქეთ და ყველგან გაეფრცოლეს თავისი ხელოვნება. ამ სხიით წიგნის ბეჭედა სწრაფად გაგრცელდა ფეროპის ყველა განათლებულ სახელმწიფოებში.

საფრანგეთში წიგნების ბეჭედა გავრცელდა 1470 წელში. პირველად ამ საქმეს რადეცა ეჭვის თვალთი უტკებოდნენ: წიგნების ბეჭედა მიწადათ ჯადონსობად და მხოლოდ ლიუდოიკ XI წყალობით, ას საქმემ მიიღო კანონიერა უფლება არსებობისათვის. პარლი ლიუდოიკ XII თავის უკანში 1513 წელში სრულებით არა რაცეს მესტამბეცეს ეწმაკის მოსამსახურებელ, არამედ ხელოწემა და მეცნიერება ბეჭედისა მას მიანია ლეთის საქმედ.

1640 წელში პირველად დაარსდა სტამბა ამერიკაში, 1474 წელში სტამბა დაარსდა ისპანიაში 1426 წელში — სათათრეთში, 1812 წელში ეგვიპტეში, XVI საუკუნის ნახევარში სტამბა დაარსდა ინდოეთში, რაცა საბეჭდაეის გამოგონების შემდეგ გაეცა 50 წელიწადი, მკროპაში იყო სულ 1000 სტამბა ორას სხვა და სხვა ადგილას. პირველად უფრო ბევრი წიგნები იბეჭდებოდა იტალიაში. მაგალი 1470 წლიდან 1500 წლამდე ვენეციაში დაიბეჭდა 2,835 წიგნი, როდესაც პარიჟში დაიბეჭდა მარტო 751. აქედან სჩანს, რომ გონებითის მხრით იმ დროში იტალია ყველაზე მაღლა იდგა, 1437 წელში შლოიარენციაში დაარსებულ იქმნა პირველი საზოგადოა წიგნთ-საცავი. მსაბლეთის ომის დროს, ვენეციაში, 1563 წელში პირველად შემოიღეს გზეთემების ბეჭედა. ოსეთთან სიტყვა «გზეთი» — წარმოადგარია იტალიური ენისაგან: გზეთის ეძახოდნ პატარა მანეთს (ორ კაპოიანს), რომელსაც აძლევდნ გზეთის ნომერში. პირველი ბერძნული წიგნი დაიბეჭდა მილანში 1476 წელში; 1475 წელში ქ. ესლინგენში, დაიბეჭდა პირველი წიგნი ებრაულს ენაზე; 1615 წელში, ბენუიაში პირველად დაიბეჭდა არაბული წიგნი.

